პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 187 (9963) | კვირა, 8 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის. — „პრავდის" 7-VIII მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციისა და საბჭოთა საკონტროლო კომისიის ბრძანებების გაუქმების შესახებ (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ა. თომაძე. — შეხვედრა სტალინური პრემიის ლაურეატ ო. აივაზაშვილთან (1-ლი გვერდი).

ალვკვეთოთ ჩამორჩენა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში (მე-2 გვერდი).

ი. ნუცუბიძე. — მოწინავე საწარმოს კომკავშირელები (მე-2 გვერდი).

ზ. ბასილაშვილი. — ლოპოტელთა მიღწევები და საჭიროებანი (მე-2 გვერდი).

წერილი შორეულ რაიონიდან. — ნ. კილასონია. — ახალი სვანეთი (მე-3 გვერდი).

ა. გოცირიძე, ვ. კიკნაძე. — უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საზოგადოებრივი კვებისადმი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის

ჟენევის თათბირმა ცხადყო, რომ დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებას გადაუჭრელ საერთაშორისო პრობლემებზე შეუძლია დადებითი შედეგები გამოიღოს. ჟენევის თათბირმა დაამტკიცა, რომ არსებობს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების რეალური შესაძლებლობანი. მან დასახა გზა, რომლითაც დაინტერესებულ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოაწესრიგონ სხვა გადაუჭრელი საკითხები და პირველ რიგში ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხი.

ხელმძღვანელობს რა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებით, საბჭოთა მთავრობამ 24 ივლისს საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს გაუგზავნა ნოტა ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ. ამ ნოტაში საბჭოთა კავშირმა წინადადება შეიტანა მოწვეულ იქნას უახლოესი თვეების განმავლობაში ევროპის ყველა იმ სახელმწიფოს თათბირი, რომლებიც მოისურვებენ მასში მონაწილეობას, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები და მეთვალყურედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი, ევროპაში კოლექტიური უშიშროების საკითხის განსახილველად.

ამ თათბირის საკითხის წინასწარი განხილვის მიზნით საბჭოთა მთავრობამ 4 აგვისტოს შეიტანა წინადადება, რომ მოწვეულ იქნას საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. განცხადებაში, რომელიც საბჭოთა მთავრობის დავალებით გააკეთეს სსრ კავშირის ელჩებმა პარიზში, ლონდონსა და ვაშინგტონში, საბჭოთა კავშირის მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას სასარგებლოდ მიაჩნია, რომ საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობებმა წინასწარი წესით ერთობლივად განიხილონ იმ თათბირის მოწვევისა და მისი წარმატების ხელშემწყობ ღონისძიებათა საკითხი, რომლის შესახებაც წინადადებაა საბჭოთა კავშირის 24 ივლისის ნოტაში. საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა დაახლოებით ამა წლის აგვისტო-სექტემბერში მოეწყოს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი და მხედველობაში იქნას აგრეთვე მიღებული გერმანიის საკითხის განხილვის განგრძობა.

საბჭოთა მთავრობა ამასთან ანგარიშს უწევს იმ გარემოებასაც, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, რომ გერმანიის პრობლემის ძირითად საკითხებზე, სახელდობრ გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე, დღემდე არ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, რამდენადაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ შექმნილა ამის ყველა საჭირო პირობა. ასეთ მდგომარეობაში, საბჭოთა მთავრობის აზრით, საჭირო იქნებოდა მიგვეღო ახალი ღონისძიებანი, რათა შევთანხმებულიყავით პირველ რიგში გერმანიის პრობლემის ზოგიერთ ცალკეულ საკითხზე, რომლებზეც უკვე ამჟამად შეიძლება გამონახულ იქნას დაინტერესებული მხარეებისათვის მისაღები გადაწყვეტილებანი.

თავისი 24 ივლისის ნოტით და 4 აგვისტოს განცხადებით საბჭოთა მთავრობამ უეჭველია დროზე შეიტანა წინადადებანი ევროპის უმნიშვნელოვანესი პრობლემების — ევროპის უშიშროების პრობლემისა და გერმანიის საკითხის განხილვის შესახებ. ამ პრობლემების გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა არა მარტო ევროპაში, არამედ აგრეთვე მთელ მსოფლიოში. ამას ერთსულოვნად აღიარებენ ევროპის, აზიის, ამერიკის ყველა ქვეყნის უფართოესი პოლიტიკური წრეები.

ხაზგასმით აღნიშნავდა რა, რომ აუცილებლად საჭიროა ევროპის პრობლემების განხილვა და გადაწყვეტა სწორედ ახლა, ჟენევის თათბირის შემდეგ, ფრანგული გაზეთი „მონდი" კომენტარს უკეთებდა რა საბჭოთა მთავრობის 24 ივლისის ნოტას, წერდა: „უეჭველია, რომ, გარდა მიღწეული შედეგისა, ჟენევის თათბირმა დიდად შეცვალა ვითარება. ამდენი უნაყოფო თათბირის შემდეგ მან აღადგინა მოლაპარაკების უპირატესობის რწმენა". ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო" აღნიშნავდა: „მშვიდობისმოყვარე ადამიანებს მიაჩნიათ, რომ შექმნილი ვითარება არ შეიძლება არ იქნას გამოყენებული ევროპის უშიშროების საკითხებისა... და გერმანიის საკითხის გადასაჭრელად".

ორი კვირის მანძილზე, რაც საბჭოთა ნოტის გამოქვეყნების შემდეგ გავიდა, ამ ნოტაში დასმული საკითხების განხილვა არც ერთ დღეს არ შეუწყვეტია მსოფლიო პრესას. საბჭოთა მთავრობის გუშინ გამოქვეყნებულ განცხადებას ფართო კომენტარს უკეთებენ ყველა ქვეყნის გაზეთები. ლონდონის გაზეთი „ტაიმსი" ამასთან დაკავშირებით ეხება საკითხს, რომელიც ინგლისის მთელ საზოგადოებრიობას აღელვებს, რომ შესაძლებელი და აუცილებელია სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა და რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოლაპარაკებას დიდ სახელმწიფოთა შორის. „ტაიმსი" წერს: „გამოცდილება უჩვენებს ინგლისს, რომ მოლაპარაკება და შეთანხმებანი შეიძლება გამოყენებულ იქნას საწინააღმდეგო ინტერესების შესარიგებლად. ამიტომ თანაარსებობა შეიძლება იყოს რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ომის უბრალოდ თავიდან აცილება".

საბჭოთა წინადადებებმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს საფრანგეთში. საფრანგეთის სულ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების საზოგადოებრივ წრეებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ევროპაში ამერიკის აგრესიული პოლიტიკის შედეგად საფრანგეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საფრანგეთს კვლავ ემუქრება თავისი ძველისძველი მტრის — გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება. საფრანგეთის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ მას არა აქვს სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ დაეთანხმოს ან „ევროპის არმიას" ბონელ რევანშისტთა მეთაურობით, ან დასავლეთ გერმანიის ვერმახტის პირდაპირი აღდგენის გეგმას.

მაგრამ საფრანგეთის საზოგადოებრიობას მტკიცედ სწამს, რომ საფრანგეთს აქვს სხვა გზები, რომლებიც აღმოფხვრიან საფრთხეს, რაც მას მოელის აღორძინებული გერმანიის მილიტარიზმისაგან. იმ შესაძლებლობათა პირობებში, აღნიშნავს საფრანგეთის ყოველკვირეული „ფრანს-ობსერვატერი", „რომლებსაც საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ნოტა და ჟენევის თათბირის წარმატება სახავს, განა თვალსაჩინო არ არის, რომ ახლა სწორედ საფრანგეთმა უნდა იკისროს ინიციატივა და შეიტანოს კონკრეტული წინადადებანი ევროპის პრობლემის შესახებ და უკუაგდოს წინანდელი პროექტები. ჩვენ გვსურს, რომ საფრანგეთის ახალმა მთავრობამ ხელი მოჰკიდოს ამ ამოცანას და უარი თქვას იმ გზებზე, რომლებზეც ჩვენ უკვე მარცხი განვიცადეთ".

საბჭოთა წინადადებანი სახავენ კონკრეტულ პერსპექტივებს გერმანიის საკითხის რაც შეიძლება მალე მოწესრიგებისათვის, რითაც სასიცოცხლოდ დაინტერესებულია ევროპის ყველა ხალხი და პირველ რიგში თვით გერმანელი ხალხი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატამ, გამოხატა რა გერმანიის მთელი მოსახლეობის ინტერესები, მიიღო გადაწყვეტილება მოწოდებით მიმართოს ბონის ბუნდესტაგს, რათა ერთობლივად გაუგზავნონ ოთხ სახელმწიფოს საზეიმო დაპირება და წინადადება შეიტანონ განახლდეს შეწყვეტილი მოლაპარაკება გერმანიის საკითხზე და თათბირის დამთავრებამდე არ გადაიდგას არავითარი ნაბიჯი რაიმე სამხედრო დაჯგუფებაში გერმანიის ორივე ნაწილის შესაყვანად. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მიემხრო საბჭოთა წინადადებებს სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ. დასავლეთ გერმანიის ხალხის ფართო მასებმა და მთელმა რიგმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, მათ შორის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ოლენჰაუერმა, აგრეთვე მხარი დაუჭირეს წინადადებას ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ.

მხოლოდ ევროპის უშიშროების აშკარა მტრები არიან უკმაყოფილონი საბჭოთა წინადადებებით. საბჭოთა კავშირის 24 ივლისის ნოტამ და განსაკუთრებით საბჭოთა მთავრობის 4 აგვისტოს განცხადებამ მათს ბანაკში გამოიწვია დაბნეულობა და პანიკა. მაგრამ დამახასიათებელია, რომ მათი ღვარძლიანი სისინისა და ცილისმწამებლურ განცხადებათა მღვრიე ტალღაში მოჩანს იმის იძულებითი აღიარება, რომ საბჭოთა წინადადებანი დროულია და დიდი მნიშვნელობა ექნებათ საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

ამერიკის რეაქციული პრესის გამოსვლებში არის იმის აღიარება, რომ საბჭოთა წინადადებანი შეტანილია ისეთ მომენტში, როცა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს სურთ რადაც უნდა დაუჯდეთ ააღორძინონ გერმანიის მილიტარიზმი და შექმნან აგრესიული სამხედრო დაჯგუფება დასავლეთ ევროპაში. აღშფოთებას გამოთქვამენ რა იმით, რომ საბჭოთა წინადადებანი აძნელებენ ამ გეგმების განხორციელებას, ამერიკული გაზეთები უნებლიედ აცხადებენ, რომ ეს წინადადებანი შეესაბამებიან ევროპის ხალხთა მისწრაფებებს მშვიდობის განმტკიცებისადმი. საბჭოთა ნოტამ, აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსი" „კვლავ აღძრა... რიგითი ადამიანის გულისათვის ესოდენ ძვირფასი საკითხები მშვიდობისა და უშიშროებისა... რუსები მიდიან მშვიდობის გზით. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ახლანდელი პოზიციების შეფასებისას მსოფლიოში, რადგან ეს ასახავს ჟენევაში მომხდარი ამბების იმ შეფასებას, რომელსაც ფართოდ იზიარებენ ევროპის კონტინენტზე... ამიტომ შეერთებული შტატებისათვის სერიოზული მდგომარეობა იქმნება. საფრთხე მოელის ყველა მათს გეგმას ევროპაში..."

რაც უფრო გაბრაზებითა და ნერვიულად ეხმაურებიან საბჭოთა წინადადებებს ამერიკელი დიპლომატები და პროპაგანდისტები, მით უფრო თვალსაჩინოა ევროპის ქვეყნების უაღრესად ფართო ფენებისათვის, რომ ეს წინადადებანი ისახავენ ევროპის უშიშროების განმტკიცებისა და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობის ნათელ მიზანს. საბჭოთა კავშირი ყოველთვის ეწეოდა და ეწევა თანმიმდევრულ და შეუპოვარ ბრძოლას ახალი ომის მომზადების გეგმების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მას სულ უფრო მეტად უჭერს მხარს მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობა ღრმად დარწმუნებულია, რომ საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადებანი, რომელთა მიზანია სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა და გერმანიის საკითხის გადაჭრა, ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და მშვიდობის განმტკიცებას.

„პრავდის" 7-VIII მოწინავე

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

## გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციისა და საბჭოთა საკონტროლო კომისიის ბრძანებების გაუქმების შესახებ

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაამყარა ისეთივე ურთიერთობა, როგორიც სხვა სუვერენულ სახელმწიფოებთან, და ბოლო დროს ამ საკითხზე სსრ კავშირის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის აზრთა გაცვლის შესაბამისად საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გააუქმოს ყველა ბრძანება და განკარგულება, რომლებიც გამოსცეს საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ და საბჭოთა საკონტროლო კომისიამ გერმანიაში 1945 წლიდან 1953 წლამდე იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას.

ამასთან საბჭოთა მთავრობა მხედველობაში იღებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებას იმის შესახებ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შეასრულებს ვალდებულებებს, რომლებიც მისთვის გამომდინარეობენ ოთხმხრივი შეთანხმებებიდან მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით გერმანიის განვითარების შესახებ.

## ახმეტის მტს-მა მოსავლის აღების გეგმა შეასრულა

ახმეტის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა 31 ივლისისათვის 23 სამუშაო დღეში 102 პროცენტით შეასრულა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა. აღებულია 2.677 ჰექტარი პური ნაცვლად 2.625 ჰექტარისა.

მოსავლის აღებაში თავი ისახელეს კომბაინერებმა ს. რამაზაშვილმა, ა. ნადირაძემ, ა. ჭიჭიაშვილმა და გ. მამუკელაშვილმა.

## ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 6 აგვისტოს ცნობებით)

(გეგმის შესრულება პროცენტობით)

| რაიონები | წლიურისა | აგვისტოსი წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით |
|---|---|---|
| ბათუმის | 68,6 | 18,2 |
| ქობულეთის | 60,6 | 11,8 |
| ქედის | 60,0 | — |
| **სულ აჭარაში** | **62,5** | **18,1** |
| გალის | 60,7 | 8,0 |
| ოჩამჩირის | 64,1 | 6,8 |
| გულრიფშის | 68,6 | 7,9 |
| სოხუმის | 58,1 | 8,6 |
| გუდაუთის | 62,1 | 7,6 |
| **სულ აფხაზეთში** | **62,3** | **7,6** |
| მახარაძის | 54,9 | 6,6 |
| ჩოხატაურის | 58,5 | 7,1 |
| ლანჩხუთის | 56,8 | 9,3 |
| სამტრედიის | 42,2 | 5,5 |
| წულუკიძის | 52,7 | 8,6 |
| ქუთაისის | 55,3 | 7,5 |
| წყალტუბოს | 75,1 | 13,3 |
| ტყიბულის | 52,2 | 6,1 |
| ცხაკაიას | 46,5 | 6,6 |
| აბაშის | 35,8 | 7,4 |
| გეგეჭკორის | 56,1 | 8,1 |
| ზუგდიდის | 53 6 | 9,0 |
| წალენჯიხის | 66,4 | 8,6 |
| ჩხოროწყუს | 62,2 | 9,2 |
| ხობის | 45,5 | 7,2 |
| თერჯოლის | 51,9 | 1,2 |
| ზესტაფონის | 74,3 | 2,5 |
| **სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში** | **58,0** | **8,6** |

შენიშვნა: ზუგდიდის რაიონის ცნობები არასრულია.



ამ დღეებში გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ტერიტორიაზე დაიდგა გენიალური ვ. ი. ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობის დიდი ი. ბ. სტალინის ძეგლი.

ფოტო შ. კუკულავასი.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### კრასნოდარის მხარის კუშჩევსკაიას მტს-ის კომბაინერის სოციალისტური შრომის გმირის გ. ი. მირონენკოს ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოების შესახებ

1953 წელს მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებასა და გალეწვაზე მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის, რაც იძლევა სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 3 მარტის და 1952 წლის 3 მაისის ბრძანებულებათა შესაბამისად დაჯილდოებულ იქნას ლენინის მეორე ორდენით სოციალისტური შრომის გმირი, კუშჩევსკაიას მტს-ის კომბაინერი გიორგი ივანეს-ძე მირონენკო, რომელმაც „სტალინეც-6" კომბაინით 20 სამუშაო დღეში აღებულ ფართობზე გალეწა 10.201 ცენტნერი მარცვლეული და ზეთოვანი კულტურები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 6 აგვისტო.

## სოფლის მექანიზატორები ქარხანაში სწავლობენ

იაროსლავლი, 6 აგვისტო. (საქდესი). ავტოქარხანაში მოეწყო ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მექანიკოსების კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი კურსები. სოფლის მექანიზატორები სწავლობენ სამსხმელო და სამჭედლო წარმოებას, შედუღებას, თერმულ დამუშავებას, მანქანების რემონტსა და ექსპლოატაციას, ეცნობიან შრომის მოწინავე მეთოდებს. გათვალისწინებულია ლექციების ციკლის წაკითხვა იმ მანქანების კონსტრუქციის შესახებ, რომლებსაც იაროსლავლის საავტომობილო ქარხანა უშვებს.

პრაქტიკული მეცადინეობა ქარხნის საამქროებში წარმოებს.

# შეხვედრა სტალინური პრემიის ლაურეატ ო. აივაზაშვილთან

მოსკოვი. (სპეც. კორ.). სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სალექციო დარბაზებში თავიანთი მდიდარი გამოცდილების შესახებ ლექცია-მოხსენებებს კითხულობენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სახელგანთქმული სპეციალისტები და პრაქტიკოსები.

მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე ლექცია წაიკითხა ჩკალოვის ოლქის ილინსკის მტს-ის კომბაინერმა ი. ვ. ნექტოვმა, რომელმაც დამსწრეთ მოუთხრო თავისი მუშაობის ნოვატორული ხერხების შესახებ.

ამ დღეებში ლექციებს წაიკითხავენ მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ი. პუზანჩიკოვი, პროფესორი ვ. ი. ედელშტეინი, მოსკოვის ოლქის მოჟაისკის რაიონის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული ბრიგადირი მ. ი. არტიომოვი და ამავე ოლქის ლენინის რაიონის ვლადიმერ ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ი. ზუიანოვი.

სალექციო დარბაზები ყოველთვის ხალხით არის სავსე. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სოფლის მეურნეობის მუშაკები გულდასმით სწავლობენ მოსავლიანობის ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ახალ, პროგრესულ მეთოდებს.

მიმდინარეობს ექსკურსანტთა და გამოფენის მონაწილეთა შეხვედრები. საქართველოს პავილიონის იმ კუთხეში, სადაც გამოფენილია სტალინური პრემიის ლაურეატის, ცნობილი მეაბრეშუმის ო. აივაზაშვილის მუშაობის ამსახველი მასალები, ერთმანეთს შეხვდნენ უზბეკი, ტაჯიკი, მოლდაველი და ქართველი მეაბრეშუმეები.

ო. აივაზაშვილმა თავის კოლეგებს დაწვრილებით უამბო აბრეშუმის ჭიის გამოკვებისა და პარკის მიღების იმ მეთოდებზე, რომელთა გამოყენებით მან შარშან თავის რგოლში თვითეულ კოლოფ აბრეშუმის თესლზე 121,9 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი მიიღო.

თავის მხრივ მუშაობის საკუთარ მეთოდზე ილაპარაკა სტალინური პრემიის ლაურეატმა, უზბეკეთის სსრ ბუხარის ოლქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეურმა ხურმატ ტიშაევამ.

— ჩვენი რგოლის წევრებმა, — თქვა მან, — 10-15 დღით შეამცირეს ჭიის გამოკვების ვადები. ეს მეთოდი შევიმუშავეთ მრავალი წლის მანძილზე ჩატარებული ცდებით და მეაბრეშუმეობის მეცნიერ მუშაკებთან თანამეგობრობით.

ჩვენი დაკვირვებით, საჭიე შენობაში ტემპერატურა რაც უფრო მაღალია, ჭია მით უფრო მეტ საკვებს ჭამს და სწრაფად იზრდება. უმცროსი ასაკის ჭიისათვის შენობაში ყოველთვის 2-3 გრადუსით მეტ ტემპერატურას ვიცავთ, ვიდრე ეს აგროტექნიკის ჩვეულებრივი წესებით არის გათვალისწინებული.

დიდი მნიშვნელობა აქვს საკვების ისე განაწილებას, რომ ყველა ჭია ერთნაირად იკვებებოდეს. ამისათვის საჭიროა გადიდდეს გამოსაკვები ფართობი. დაკვირვებითვე ცხადი გახდა, რომ, მართალია, ჭია მაღალი ტემპერატურის დროს კარგად იკვებება, მაგრამ ამავე დროს მას სიცხე აწუხებს. ამისათვის შენობაში ვამცირებთ ტენს, რადგან სიცხე მშრალ ჰაერში უფრო ადვილი ასატანია. ამჟამად ჩვენს რგოლში პირველი სამი ასაკის ჭიას ნაცვლად 8-10-სა ვკვებავთ 14-17-ჯერ დღეღამეში და საჭიეში ნაცვლად 20-25 გრადუსისა ვიცავთ 28-30 გრადუს ტემპერატურას. ამასთან ჰაერის სინესტეს ვამცირებთ 65-75 პროცენტიდან 50-60 პროცენტამდე.

საუბარს ესწრებოდნენ მეაბრეშუმეები მ. სულთანოვა (უზბეკეთი), უ. მამედოვა (ტაჯიკეთი), ნ. ორიანტი (მოლდავეთი) და მრავალი სხვა.

ო. აივაზაშვილსა და ხ. ტიშაევას მრავალი შეკითხვა მისცეს.

ო. აივაზაშვილი და ხ. ტიშაევა ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ.

ა. თომაძე.

## კასპელ მეშიფერეთა წარმატება

კასპი, 7 აგვისტო. (საქდესი). კასპის შიფერის ქარხნის კოლექტივმა 106,6 პროცენტით შეასრულა შიფერის დამზადების ივლისის გეგმა.

მაღალნაყოფიერად შრომობს საწარმოს კოლექტივი აგვისტოშიც. მოწინავე მუშები პ. ქობულაშვილი, გ. ქართველიშვილი და სხვები ყოველდღიურ დავალებას 120 პროცენტით ასრულებენ.



მოსკოვი. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სურათზე: სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონში.

ფოტო ვ. ეგოროვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## მოწინავე საწარმოს კომკავშირელები

[illegible]

ი. ნუცუბიძე.

## 50 კომკავშირული ბრიგადა

[illegible]

## პარტიული ქრონიკა

[illegible] უბანში საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ვერ დგას ახალი ამოცანების დონეზე. ზოგიერთი აგიტატორის საუბარი მშრალი და მოსაწყენია. პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს შესრულების შემოწმებას.

[illegible] რამ შედეგები არა ჩანს. მაღაროს კოლექტივი ვერ ასრულებს მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმებს. პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

## ლოპოტელთა მიღწევები და საჭიროებანი

[illegible]



თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში ახალი მოდელების მიხედვით ტანსაცმლის შეკერვასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მზატანსაცმლის გარეგნულ გაფორმებას და შეფუთვას. სურათზე: მარცხნივ — მზატანსაცმლის ჩაწყობა სპეციალურ კოლოფებში; მარჯვნივ — საქარგავი საამქროს ერთი კუთხე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## გაზეთების ფურცლებზე

### ბრძოლა თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის

ტყიბულქვანახშირის ტრესტმა ვადაზე 8 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების შვიდი თვის გეგმა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ქვანახშირის ამოღება გადიდდა 21,6 პროცენტით, ამასთან მკვეთრად ამაღლდა მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება. განსაკუთრებით დაწინაურდა მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივი, რომელიც 11 ივლისიდან უკვე მერვე თვის ანგარიშში იძლევა ქვანახშირს.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ამ მოწინავე შახტის კოლექტივის ბრძოლის გამოცდილებაზე ვრცლად მოუთხრობს მკითხველებს გაზეთი „ტყიბულის მაღაროელი“, რომელმაც ამ საკითხს მთელი გვერდი დაუთმო. გაზეთი აღნიშნავს, რომ აქ ზუსტად იცავენ მუშაობის გრაფიკს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მტკიცე სამუშაო ფრონტის შექმნას, ფართოდ ნერგავენ რაციონალიზატორულ წინადადებებს, ყოველდღიურად აუმჯობესებენ შრომის ორგანიზაციას, იბრძვიან სამაგრ მასალათა მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის დაცვისათვის.

თვითღირებულების შემცირების საქმეში უფრო მეტი ოპერატიულობისათვის გასული წლის მეოთხე კვარტალიდან შახტში შემოიღეს ყოველდღიური აღრიცხვა, რაც წარმოებს უბნებისა და ცვლების მიხედვით. აღრიცხვის დაფა ზუსტად უჩვენებს, მოცემულ დღეს, რომელმა უბანმა ან ცვლამ რამდენი მასალა გადახარჯა ან დაზოგა, რამდენ ეკონომიას მიაღწია ან რამდენად გააძვირა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება. ამ აღრიცხვას ყოველდღიურად აცნობენ მეშახტეებს სამუშაოზე გასვლის წინ.

ასეთ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად წელს ექვსი თვის მანძილზე ტონა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების გზით მიღწეულია 148.000 მანეთის ეკონომია.

კარგად იქცევა გაზეთი, რომ ერთი შახტის ჩამორჩენილი და მოწინავე უბნების საქმიანობაზე იყენებს შედარების მეთოდს. მაგალითად, სტალინის სახელობის შახტის მესამე და მეოთხე უბნები მეზობლად არიან, მუშაობის პირობებიც ერთნაირი აქვთ, მაგრამ მათი მუშაობის შედეგები ყოველთვის სხვადასხვანაირი, ერთმანეთის საწინააღმდეგოა. როცა მესამე უბანი გეგმას ასრულებს და ქვანახშირის ამოღების საქმე იქ აღმავლობის გზით მიდის, მეოთხე უბანი ჩამორჩენას იწყებს, დაღმავლობის გზას ადგება.

ეს იმიტომ ხდება, რომ მესამე უბნის ხელმძღვანელობა უფრო აძლიერებს გამომუშავებული სივრცეების ჰიდრავლიკურ ვსებას, რის შედეგად მეშახტეებს საშუალება ეძლევათ უფრო კარგად იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის. [illegible] ერთ თვეზე მეტია ამოუვსებელია სამი ლავა. ამის შედეგად უბანში შემცირდა ქვანახშირის სანგრევი ფრონტი, მუშები გაცდნენ. ამით დაეცა მათი შრომის ნაყოფიერების დონე.

გაზეთი სწორად დაასკვნის: როცა უბნის კოლექტივი დაინტერესებულია მუშაობით, უბნის ხელმძღვანელობა მოწოდების სიმაღლეზე დგას და მტკიცედ იცავს ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს,—გამარჯვება გარდუვალია, ხოლო როცა პირიქით ხდება, საქმე უკან მიდის.

### მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

დადგა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყველა ღონისძიება უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ მოსწავლეებს შეუქმნან სწავლის ნორმალური პირობები. ეს დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოვაწყობთ სასკოლო შენობებს, კაბინეტ-ლაბორატორიებს, როგორ მოვამარაგებთ მოსწავლეებს სასწავლო ნივთებით.

ამ მნიშვნელოვან თემაზე საინტერესო მასალები გამოაქვეყნა ამბროლაურის რაიონულმა გაზეთმა „კომუნარმა“. წერილში „ჩამორჩენა სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას“ გაზეთი სასკოლო შენობების რემონტის გაჭიანურებისათვის აკრიტიკებს სოფლების ღვარდიასა და თხმორის ადგილობრივ ორგანოებს. გაზეთი წერს, რომ ღვარდიაში სკოლის შენობის რემონტის საქმე თვითდინებაზეა მინდობილი. აქ საშენი მასალა საკმარისად არ არის შემოზიდული, რის გამო სარემონტო სამუშაოები მხოლოდ 20 პროცენტით არის შესრულებული. უფრო ცუდ მდგომარეობაშია თხმორის რვაწლიანი სკოლის შენობის რემონტის საქმე. აქ ეს სამუშაოები 1 აგვისტოსათვის დაწყებულიც არ იყო.

პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებისათვის სასკოლო მიწის ნაკვეთს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხზე გაზეთი ბეჭდავს რაიონის სახალხო განათლების განყოფილების პედკაბინეტის გამგის უ. ბაკურაძის წერილს, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, თუ რა წარმატებებს აღწევენ სკოლები, რომლებიც კარგად უვლიან მიწის ნაკვეთებს, სისტემატურად იყენებენ მათ მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებისათვის. ამასთან წერილში გაკრიტიკებულია იმ სკოლების ხელმძღვანელები, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სასკოლო ნაკვეთების მოვლა-პატრონობას, არ იყენებენ მათ მოსწავლეთა მიერ სპეციალური დისციპლინების ღრმად დაუფლებისათვის.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

## „მხოლოდ სათაურის ავტორი“

„კომუნისტის“ 13 ივნისის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც პლაგიატისათვის გაკრიტიკებული იყო ზესტაფონის მტს-ის აგრონომი დ. ცერცვაძე.

როგორც პარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. კიკნაძე გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. რაიკომის ბიურომ მტს-ის აგრონომს, კომუნისტს დ. ცერცვაძეს პლაგიატისათვის დაადო პარტიული სასჯელი. რაიონულ გაზეთ „ლენინელის“ რედაქცია (რედაქტორი ამხ. ლ. ლოლაძე) გაფრთხილებულ იქნა, რომ მომავალში აღარ დაუშვას უყურადღებობა გაზეთში გამოსაქვეყნებელი მასალებისადმი.

# აღვკვეთოთ ჩამორჩენა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში

### რეიდი ქ. ქუთაისში, წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონებში

საქართველოს სს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დიდი თანხა იხარჯება სასკოლო ქსელის გაფართოებისა და მისი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ჩვენს ქვეყანაში გადაქცეულია საყოველთაო-სახალხო საქმედ. კოლმეურნეობები, საწარმოები და დაწესებულებები აქტიურად მონაწილეობენ როგორც სკოლებისათვის ახალ შენობათა აგების, ისე სასკოლო ინვენტარის რემონტის სანიმუშოდ მოწყობის საქმეში.

ჩვენ ვნახეთ ქალაქ ქუთაისის სკოლები. მარტო ამ სკოლებისა და ქალაქის სხვა საბავშვო დაწესებულებების შენობათა კაპიტალურ შეკეთებაზე წელს იხარჯება 883.000 მანეთი.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე დროულად დასახეს ღონისძიებანი, ამ ღონისძიებათა განხორციელებაზე დააწესეს მტკიცე კონტროლი. ამის შედეგად ქალაქ ქუთაისის სკოლები წარმატებით ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის.

გეგმის მიხედვით ქ. ქუთაისში კაპიტალური რემონტი უკეთდება 22 სასკოლო და 9 საბავშვო ბაღის შენობას. შეკეთდება აგრეთვე პიონერთა სასახლის, ბავშვთა ტექნიკური სადგურისა და ორი სასპორტო სკოლის შენობები. მიმდინარე რემონტი უკეთდება 4 სასკოლო და 7 საბავშვო ბაღის შენობას. ამ ობიექტებიდან 13 სასკოლო შენობის რემონტი დამთავრებულია, ხოლო დანარჩენ სკოლებში 15 აგვისტოსათვის დამთავრდება კაპიტალური და მიმდინარე რემონტი.

ქალაქ ქუთაისის სკოლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში დაწესდა სკოლების ახალი ნუმერაცია და განისაზღვრა სკოლის სამოქმედო რაიონები. ამის მიხედვით გადანაწილდა სკოლებში მოსწავლეები. ახალი სამოქმედო რაიონების ზუსტად აღრიცხვის შედეგად ქ. ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაკომპლექტებულია 482 კლასი 14.841 მოსწავლით. ეს სკოლები უზრუნველყოფილია როგორც ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალით, ისე კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით.

ამ წარმატებებთან ერთად ქ. ქუთაისის სკოლებში არის ნაკლოვანებებიც. კერძოდ: ყველა სკოლა როდია უზრუნველყოფილი საჭირო სასკოლო ინვენტარით. ქუთაისის სკოლებს ნორმალური მეცადინეობისათვის სჭირდებათ ათასი მერხი, 160 დაფა, 240 კარადა, 400 მაგიდა და 1.400 სკამი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ კი გაითვალისწინა მხოლოდ 150 მერხის დამზადება. ქალაქის სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებებისათვის საჭიროა 2.930 კუბური მეტრი შეშა და 650 ტონა ქვანახშირი. შეშის შემოზიდვა დავალებული აქვს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის ავეჯის წარმოებას (დირექტორი ი. ცირეკიძე), რომელსაც ჯერჯერობით საჭირო შეშის მხოლოდ 50 პროცენტი აქვს შემოზიდული. რაც შეეხება ქვანახშირს, მისი ფონდი ჯერ დაშვებულიც არ არის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქალაქის ექვს სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემას სერიოზული რემონტი ესაჭიროება. განათლების განყოფილებას ამ საქმისათვის თანხები არ გააჩნია. თუ ცენტრალური გათბობის სისტემა შეუკეთებელი დარჩა, სკოლებს სითბო არ ექნებათ და მეცადინეობა შეფერხდება. საჭიროა ახლავე მიღებულ იქნას ზომები და გამოინახოს რემონტისათვის საჭირო თანხა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ეს საკითხი დროულად უნდა მოაგვაროს.

ახალი სასწავლო წლიდან ქ. ქუთაისს შეემატება საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა, რომელსაც აგებს ტრესტი „ქუთაისმშენი“. მშენებლებს ისეთი ტემპი აქვთ აღებული, რომ უეჭველია იგი ვადაზე ადრე დამთავრდება. ეს ძალიან კარგია, მაგრამ „ქუთაისმშენი“ (უფროსი ამხ. ა. მაღრაძე) ასეთივე პასუხისმგებლობით როდი ეკიდება სხვა სასკოლო მშენებლობებს, რომელთა აგება მას დაევალა. კერძოდ, სავალალო მდგომარეობაშია წულუკიძის რაიონის მათხოჯის საშუალო სკოლის მშენებლობა.

ათიოდე დღის წინათ მათხოჯის სკოლის მშენებლობა ინახულეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. გ. ჯიბლაძემ, საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრმა ამხ. გ. ჯაბუამ. ისინი დეტალურად გაეცნენ მშენებლობის დამაბრკოლებელ მიზეზებს. მათ აღუთქვეს, რომ მშენებლობა დაჩქარდებოდა, მაგრამ გავიდა დღეები... მშენებლობის ტემპი კიდევ უფრო შენელდა.

გარდა იმისა, რომ ხის მასალა ადგილზე მიტანილი არ არის, სამინისტროსა და მშენებელ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ რით უნდა გადახურონ ეს შენობა — თუნუქით, კრამიტით თუ შიფერით. თუ მუშაობა ასე გაგრძელდა, მათხოჯის საშუალო სკოლის შენობა ზამთრის დაწყებამდე გადაუხურავი დარჩება.

ეტყობა, ტრესტ „ქუთაისმშენის“ მესამე სამმართველოს უფროსი ამხ. კ. დემეტრაძე ასეთ ჩამორჩენას შეეჩვია. მას არც წყალტუბოს საშუალო სკოლის მშენებლობაზე აქვს საქმე კარგად დაყენებული. რაც შეეხება „ქუთაისმშენის“ მეორე სამმართველოს (უფროსი ამხ. გ. კუპრეიშვილი), მას მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის საშუალო სკოლის მშენებლობაზე ისეთივე ნელი ტემპი აქვს აღებული, როგორც მათხოჯის სკოლის მშენებლებს.

გასაკვირველია, რატომ ავიწყდებათ „ქუთაისმშენის“ ხელმძღვანელებს, რომ მათხოჯისა და წითელხევის საშუალო სკოლების ათასზე მეტი მოსწავლე 1 სექტემბრისათვის ახალი შენობის დაუმთავრებლობის შედეგად კვლავ ნაქირავებ ოთახებში აღმოჩნდება. მათ არ ექნებათ სწავლის ნორმალური პირობები.

შეუძლია თუ არა ტრესტ „ქუთაისმშენს“ სკოლების მშენებლობის ტემპი დააჩქაროს? ცხადია, შეუძლია. ამას მოწმობს ქუთაისის საშუალო სკოლის მშენებლობა, რომელსაც არც საშენი მასალები აკლია, არც მონდომება და არც მუშახელი.

საჭიროა ტრესტმა „ქუთაისმშენმა“ სასწრაფოდ გარდაქმნას მუშაობა, ყველა სასკოლო მშენებლობას ერთნაირი მონდომებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდოს და დროზე უზრუნველყოს პარტიისა და ხალხის დავალების შესრულება.

როგორც აღვნიშნეთ, წყალტუბოს საშუალო სკოლის მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, მიუხედავად იმისა, რომ ეს შენობა 1954 წლის მესამე კვარტალში უნდა აგებულიყო, პროექტი და სხვა ტექნიკური მასალები მხოლოდ წელს მაისში გადასცა სამშენებლო ორგანიზაციას. ცხადია, ოთხ თვეში სამსართულიანი სასკოლო შენობის აგება შეუძლებელია. ეს არ გაითვალისწინა წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. ჩოგოვაძე) და წყალტუბოს საშუალო სკოლის ძველ შენობას მიმდინარე რემონტი არ გაუკეთა.

ჩვენ დავათვალიერეთ ძველი სასკოლო შენობა. იგი სრულიად მოუწყობელია, კედლები შეთეთრებული არ არის, ფანჯრებში მინები ჩამტვრეულია, ჭერი ჩამონგრეულია.

საინტერესოა, რას ფიქრობს სკოლის დირექტორი ამხ. ო. მხეიძე, რომელიც დასასვენებლად არის წასული.

ასეთივე მდგომარეობაა წყალტუბოს რაიონის გუბისწყლის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი ს. გახოკიძე). აქ მერხები და მაგიდები შეუკეთებელია, საკლასო ოთახები მოუწყობელია, ასასვლელი კიბე დანგრეულია.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, წყალტუბოს რაიონის მთელი რიგი სკოლები კარგად მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის. პარტიის რაიონულ კომიტეტს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი ორჯერ აქვს განხილული. ამის შედეგია, რომ ქვილიშორის, გვიშტიბის, მაღლაკის, ფარცხანაყანევისა და მუხიანის სკოლებში რემონტი დროზე დაიწყო და კარგად მიმდინარეობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შეფების — „მეტალურგმშენის“ (უფროსი ამხ. ცერცვაძე) და სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სანატორიუმის მშენებელთა (უფროსი ამხ. ლომიძე) დახმარება სკოლების რემონტის საქმეში.

ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი წყალტუბოს რაიონის სკოლების შეშით უზრუნველყოფისათვის. შეშა საჭირო რაოდენობით ადგილზე მიზიდულია მხოლოდ მაღლაკის, ფარცხანაყანევისა და მუხიანის საშუალო სკოლებში, აგრეთვე მაღლაკის პირველ რვაწლიან სკოლაში. რაიონის დანარჩენ სკოლებს ეს საქმე რატომღაც სექტემბერ-ოქტომბრისათვის აქვთ გადადებული.

საჭიროა ამთავითვე იქნას მიღებული ზომები იმისათვის, რომ ყველა სკოლას ზამთარში ჰქონდეს საკმაო შეშა და ქვანახშირი.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადყოფნის საკითხი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია. იგი დიდი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი საქმეა და ემსახურება ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის დიად ამოცანას. ამიტომ საჭიროა ძირშივე აღვკვეთოთ ჩამორჩენა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში, დავრაზმოთ მთელი აქტივი, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მომზადებისათვის.

რეიდის მონაწილენი:

ბ. თათარიშვილი, ი. ბალანჩივაძე, დ. გველესიანი, ნ. ტაბიძე.

# ᲛᲔᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲔᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნას დიდი შრომითი მიღწევებით შევხვდით. კოლმეურნეობამ კარტოფილის უხვი მოსავლის მოყვანით სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

კარტოფილის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის საქმეში სხვებთან ერთად მეც შევიტანე წვლილი. პირველი ბრიგადის რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, შარშან თითქმის სამმაგად შეასრულა კარტოფილის მოსავლიანობის გეგმა — თვითეულ ჰექტარზე 350 ცენტნერი კარტოფილი მივიღეთ. წელს შარშანდელთან შედარებით 2 ჰექტარით მეტი ნათესი გვაქვს და უკეთესი მაჩვენებლებისათვის ვიბრძვით.

ახალ გადიდებულ ვალდებულებათა აღებისთანავე გავაუმჯობესეთ ნათესების მოვლა-დამუშავება, ზუსტად ვიცავთ აგროტექნიკური წესებით შემუშავებულ ღონისძიებებს, ფართოდ ვნერგავთ მოწინავე კოლმეურნეთა მიერ მრავალი წლის მანძილზე შეძენილ გამოცდილებას.

ნიადაგის მომზადება ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე, მოსავლის აღებისთანავე დავიწყეთ. კარტოფილი დავრგეთ მზრალად მოხნულ ნიადაგზე. სარეველების აღმოცენების შემდეგ წინასახნისიანი გუთნით ავჩეჩეთ ნიადაგი.

ადრე გაზაფხულზე ნიადაგი დავაზიგზაგეთ. 12 დღის შემდეგ ჩავატარეთ ზედაპირული გადახვნა და გადახნული ნიადაგის ზიგზაგიანი ფარცხით გასწორება. ცალფრთიანი გუთნით გავატარეთ 12 სანტიმეტრი სიღრმის კვალი, სადაც მოვათავსეთ ჯანსაღი, სტანდარტული და ჯიშიანი ტუბერები. თვითეულ ბუდნაში ჩავყარეთ ნახევარი კილოგრამი გადამწვარი ნაკელი და მინერალური სასუქი.

ტენის შენარჩუნების მიზნით ნიადაგს პირველად ვაზიგზაგებთ მცენარის აღმოცენების შემდეგ. პირველი თოხნა დავამთავრეთ ივნისის პირველ ნახევარში, ხოლო მეორე და მესამე თოხნა — ივლისის პირველ რიცხვებში.

ახლა მიმდინარეობს რწყვა. ნიადაგში შეგვაქვს ნაკელწყალი. მოსავალს კარგი პირი უჩანს. 7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 400 ცენტნერ კარტოფილს მოველით.

მოწინავე კოლმეურნეებთან ერთად მალე მეც წავალ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში — მშობლიურ მოსკოვში. გავეცნობი რა სოფლის მეურნეობის დარგში შეძენილ მდიდარ გამოცდილებას, ფართოდ დავნერგავ მას წარმოებაში.

**თ. კოპაძე,**
ახალციხის რაიონის დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

# ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘ

შესანიშნავი წარმატებებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც 9 წელია ვასილ მგელაძე ხელმძღვანელობს. ყოველწლიურად იზრდება ბრიგადის ფულადი შემოსავალი. 1953 წელს ბრიგადის შემოსავალმა 1.120.000 მანეთს მიაღწია.

სანიმუშოდ არის მოვლილი ბრიგადისათვის მიჩენილი 14,2 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. გასულ წელს თვითეულ ჰექტარზე 5 ტონა ფოთოლი მიიღეს, წელს კი გადაწყვიტეს 6,5 ტონა მოკრიფონ.

ბრიგადირი სისტემატურად კონკრეტულ მეთვალყურეობას უწევს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს. ამიტომ არის, რომ აქ უხვი მოსავლის მიღებისათვის გაწეული მუშაობა დიდ ეფექტს იძლევა.

ამხ. ვ. მგელაძე სერიოზულ ყურადღებას აქცევს უხვი მოსავლის ოსტატთა მდიდარი გამოცდილების პროპაგანდას. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევს ბრიგადის პარტიული ჯგუფი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ამხ. თამარ ტუღუში ხელმძღვანელობს. ბრიგადაში 38 მოწინავე მეჩაიეა. ისინი დღიურ ნორმებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ.

ბრიგადაში სისტემატურად ისმენენ ბრიგადის წევრების — სოციალისტური შრომის გმირების ელპიტე მგელაძის, თამარ ტუღუშის, გოგოლა მგელაძის და სხვათა საქმიან წინადადებებს, მსჯელობენ ამა თუ იმ სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაზე.

ახლა ვ. მგელაძის ბრიგადა იმისათვის იბრძვის, რომ წლიური გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს ჩააბაროს 8 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

**გ. ჩხაიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## ᲛᲢᲡ-ᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ქუთაისი. (საკ. კორ.). „გლავავტოტრაქტორსბიტის“ ქუთაისის სარაიონთაშორისო განყოფილება, რომელიც დასავლეთ საქართველოს თხუთმეტ მანქანა-ტრაქტორთა სადგურს ემსახურება, ენერგიულად იბრძვის ტრაქტორებისა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების მომარაგებისათვის.

შარშანდელთან შედარებით სარაიონთაშორისო განყოფილებამ 60 პროცენტით გაადიდა ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების შემოზიდვა. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებისათვის საჭირო ნაწილების შემოტანას.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ტრაქტორების სათადარიგო დეტალების შემოზიდვის დავალებას ერთნახევარჯერ გადაამეტეს, ამასთან მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდეს ავტომანქანების ნაწილებისა და ფერადი და შავი ლითონის ჯართის შეგროვების გეგმაც.

# ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

დედაქალაქში ბევრი მოიპოვება საზოგადოებრივი კვების ისეთი ობიექტი, რომელიც წარმატებით ასრულებს თავის ძირითად ამოცანას — მშრომელებს აწვდის გემრიელ, მრავალფეროვან კერძებს, აკმაყოფილებს მომხმარებლის განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებებს, გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს.

ამ მიმართულებით უკანასკნელ ხანს მუშაობა გააუმჯობესა თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატთან არსებულმა № 76 სასადილომ (დირექტორი გ. ცისკარიშვილი). აქ ყურს უგდებენ მომხმარებელთა სიგნალებს, დროულად ასწორებენ ნაკლოვანებებს. მრავალია საზოგადოებრივი კვების მოწინავე სხვა ობიექტიც.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქის ბევრი რესტორანი, სასადილო, სასაუზმე, საჩაიე და კაფე მოუქნელად მუშაობს, მათ მიერ დამზადებული საჭმლის ხარისხი დაბალია, კერძების ასორტიმენტი ერთფეროვანია, არა აქვთ ახალი ბოსტნეული, ცუდია მომსახურების კულტურა.

აი, მომხმარებელი შედის ქალაქის ცენტრში, ლენინის ქუჩაზე მდებარე № 8 სასადილოში (გამგე გ. ნადარეიშვილი).

— ცივი ლიმონათი გაქვთ?

— არა! — უპასუხებენ.

— რატომ?

— ყინული არ მოუტანიათ, ხოლო მაცივარი უკვე ორი თვეა უმოქმედოდ არის!

გულნატკენი მომხმარებელი იძულებულია ასეთ უმსგავსოებაზე საყვედური უთხრას სასადილოს გამგეს, ეს უკანასკნელი კი იმ წუთში ტრესტის ხელმძღვანელებს გადააბრალებს ყველაფერს.

ამავე სასადილოს მიმტანი მ. ჭანტურია ბარბაცით მივიდა სასადილოდ შემოსულ მომხმარებლებთან კ. აბაშიძესა და მ. ეზოშვილთან.

— რა გინდათ, რაშია საქმე? — ლუღლუღით მიმართა მათ.

— რა გაქვთ? — ჰკითხეს.

— მე მეკითხებით, მე... მე... მე, — უპასუხა და ღიმილით გაბრუნდა უკან. ეს სურათი განმარტებას არ საჭიროებს.

სამარცხვინო მდგომარეობაშია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომელთათვის განკუთვნილი სასადილო (გამგე ვ. ლომთათიძე). აქ სამზარეულოში კანალიზაციის მილია გაყვანილი, ჭერიდან წვეთები ჩამოდის. გარდა ამისა, ტანსაცმელსაც პროდუქტების შესანახ ადგილას ჰკიდებენ, სამზარეულო ანტისანიტარიის ბუდედ არის გადაქცეული. ნუთუ ამას ვერ ხედავენ ასეთი დიდი ორგანიზაციების ხელმძღვანელები?

უფრო მეტიც. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სასადილოს № 83 (გამგე ნ. ცაგურაშვილი) სამზარეულოს იატაკი დანგრეულია, კედლები ჭუჭყიანია. შემოწმების დროს მზარეულ ქ. მეტრეველს ჭუჭყიანი ხალათი ეცვა.

ლენინის მოედანზე მდებარე № 13 კაფე-სასაუზმეში (დირექტორი პ. კახიძე) ხშირად ირღვევა საბჭოთა ვაჭრობის წესები. თანამშრომელმა გ. ქარსელაძემ მომხმარებელს ერთ ჭიქა ლუდზე 40 გრამი დააკლო. აქვე წონის დარღვევით იყიდებოდა ხაჭაპურები, ზოგი მათგანი ძველიც იყო.

წონა-ზომაში მოტყუებისა და ფასების დარღვევის ფაქტებს სხვაგანაც ვხვდებით. მარჯვენა ნაპირის სასადილოს ტრესტის № 46 სასაუზმის (გამგე ვ. ხაჟომია) მებუფეტე ო. დანელიამ მომხმარებელს 400 გრამ პურზე 80 გრამი დააკლო. ამავე სასადილოში უხეშად ირღვეოდა კერძების ნორმებიც.

საზოგადოებრივი კვების ზოგიერთი მუშაკი სადილის დასამზადებელ პროდუქტებს არ უვლის და აფუჭებს. № 34 სასაუზმეში (გამგე ა. თხინვალელი, მზარეული ა. სირაძე) ორი კილოგრამი ხორცი გაუფუჭდათ, მაგრამ მას მაინც რატომღაც ინახავდნენ. აღნიშნულ სასადილოს არა აქვს ჭურჭლის სარეცხი, იატაკი ჩამტვრეულია, საჭიროებს რემონტს. ანტისანიტარიაა მარცხენა ნაპირის სასადილოების ტრესტის № 22 სასადილოშიც (გამგე შ. მუნჯიშვილი). გასაგებია, რა ხარისხის კერძებს დაამზადებენ აქ!



— რა ღირს სადილი? — ჰკითხა მომხმარებელმა ნ. გოგოლაძემ № 17 სასადილოს თანამშრომელს.

— შვიდი მანეთი! — უკმეხად უპასუხა მან, როცა სადილის ღირებულება 5 მანეთი და 40 კაპიკი იყო. საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეშ დარღვევას ვხვდებით სხვა სასადილოებსა და სასაუზმეებშიც (№ 24, 118, 44, 55, 23 და სხვ.).

ნაკლოვანებების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ კვების ობიექტების ხელმძღვანელები ყურს არ უგდებენ მომხმარებელთა სიგნალებს, საჩივრის წიგნებში არ იყურებიან. შემოწმებისას № 23 სასადილოს (გამგე ზ. ამირგულოვი) საჩივრის წიგნში ჩაწერილ შენიშვნაზე, რომ 1 მან. და 70 კაპიკიან ერთ ულუფა ხაშში 5 მანეთს იღებენ, პასუხი არ იყო გაცემული. შემოწმების დროსაც აქ უხეშად დაარღვიეს ვაჭრობის წესები. № 11 კაფეს დირექტორს შ. ნადარეიშვილს საჩივრის წიგნი მაგიდის უჯრაში ჰქონდა ჩაკეტილი.

ასეთივე მდგომარეობაა თბილისის საჩვენებელი რესტორანების ტრესტას (მმართველი ვ. კალანდარაშვილი) რესტორანებშიც. საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები იყო რესტორან „ყაზბეგში“, „დარიალში“ და სხვ. ვოროშილოვის სახელობის კლუბთან არსებულ ბუფეტში (მებუფეტე ქ. კუპრიაშვილი) ერთ ბოთლ ლიმონათში 50 კაპიკს მეტს ახდევინებდნენ. ფასებს ამახინჯებენ აგრეთვე გრიბოედოვის სახელობის თეატრთან არსებულ ბუფეტშიც.

საზოგადოებრივი კვების მთელი რიგი ობიექტები მოუქნელი მუშაობის გამო გეგმებს ვერ ასრულებენ. მაგალითად, მარჯვენა ნაპირის სასადილოების ტრესტმა (დირექტორი ო. თავყელიშვილი) შვიდი თვის გეგმა მხოლოდ 96 პროცენტით შეასრულა.

რესტორანებში, სასადილოებში, საჩაიეებსა და კაფეებში მშრომელთა არადამაკმაყოფილებელი მომსახურება უმთავრესად იმის შედეგია, რომ თბილისის საზოგადოებრივი კვების ობიექტების ხელმძღვანელები ყოველდღიურად არ უწევენ კონტროლს საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქის საზოგადოებრივი კვების ობიექტები წესიერად არ არის განლაგებული. მაგალითად, ლენინის რაიონში ერთი რესტორანიც არ არის. საერთოდ, ამ მიმართულებით ქსელის გაფართოება არადამაკმაყოფილებელი ტემპით წარმოებს. ახალი სასადილოების, რესტორანების, სასაუზმეების გახსნა შეიძლება იმ შენობებში, რომლებიც წინათ საზოგადოებრივი კვების საწარმოებს ეკავათ და ახლა დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული. ასეთი ფაქტები თბილისში არც ისე ცოტაა. მაგრამ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი და რაისაბჭოების აღმასკომები არსებული ბინების გასათავისუფლებლად რატომღაც ქმედით ზომებს არ იღებენ.

ნაკლები ყურადღება ექცევა კერძების მომზადების შრომატევადი პროცესის მექანიზაციას. თბილისის ბევრი სასადილო და რესტორანი უაღრესად ცუდად არის აღჭურვილი მექანიკური მოწყობილობით — კარტოფილის გასათლელი, ხორცის საკეპი, ჭურჭლის სარეცხი და სხვა მანქანებით. მეტი წილი შრომატევადი სამუშაოები ხელით სრულდება.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ისინი ყოველდღიურად უნდა ახორციელებდნენ მასობრივ კონტროლს სასადილოების, სასაუზმეების, ბუფეტების მუშაობისადმი და ამას უნდა ერთვოდეს ქმედითი ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დედაქალაქის კვების მუშაკთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის მოვალეობაა მთელი ძალღონე მოახმარონ საბჭოთა ვაჭრობის ამ მნიშვნელოვანი დარგის რაც შეიძლება სწრაფ აღმავლობას და არსებულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრას.

**ა. გოცირიძე,**
**ვ. კიკნაძე.**

## ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

### [illegible] ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ

თბილისის ქალაქის წყალსადენის ცენტრალური სახელოსნოს (ამჟამად ამ სახელოსნოს წყალმოწყობილობის ქარხანას უწოდებენ) კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა: ნახევარი წლის საწარმოო დავალება — 112 პროცენტით გაანაღდა, გაადიდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და მოგვცა 425.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

წლის განვლილი პერიოდი მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნეს აქ მომუშავე ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და კონსტრუქტორებმა. კოლექტიური შემოქმედებითი თანამშრომლობით მათ შექმნეს ქსელში წყალჩამრთავ-გამომრთავი ავტომატი, რომელმაც გამოცდისას საუკეთესო შედეგები გვიჩვენა. ამ ავტომატურ აპარატს აყენებენ ერთ-ერთ წყალსატუმბავ სადგურზე და მისი საშუალებით ახორციელებენ ფუნიკულორის პლატოზე ქსელში წყლის გაშვების მართვას.

**ნ. გურგენიძე.**

### ᲐᲒᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ტევრის აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელიც შამპანკომბინატის განკარგულებაშია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოა ზესტაფონის რაიონში. წინათ ეს ქარხანა ჩამორჩენილთა წყებაში იყო, სისტემატურად ვერ ასრულებდა გეგმებს და დაბალი ხარისხის აგურს და კრამიტს უშვებდა.

ქარხნის განახლებულმა ხელმძღვანელობამ უნარიანად მოჰკიდა საქმეს ხელი, მიაღწია გარდატეხას მთელი კოლექტივის მუშაობაში. ჯერ კიდევ აგურის გამოწვის სეზონის დაწყებამდე ქარხნის კოლექტივმა უზრუნველყო მთელი სეზონისათვის საკმარისი ნედლი აგურის მარაგის დამზადება, ღუმელთან მიზიდვა და წარმოების დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური მუშახელით.

ამასთან ცვლილება შეიტანეს აგურის გამოწვის ტექნოლოგიაში, დანერგეს გამოჩენილი ნოვატორის პ. დუვანოვის მეთოდი, გააუმჯობესეს აგურის ჩაწყობის ტექნიკა და გამოწვის რეჟიმი. ამის შედეგად აგურის გამოწვაზე მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება დიდად ამაღლდა, შემცირდა აგურის თვითღირებულება, აღიკვეთა დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება. შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა თიხის კარიერებზე მომუშავეებმა.

წელს ტევრის აგურ-კრამიტის ქარხანამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ექვსი თვის საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 230.000 ცალი საუკეთესო ხარისხის აგური. ამასთან წელს აითვისეს მარსელის ტიპის კრამიტის გამოშვებაც და ივლისიდან შეუდგნენ კრამიტის მასობრივ გამოწვას.

ქარხნის ხელმძღვანელებს გადაწყვეტილი აქვთ დაძლიონ სეზონურობა, გადავიდნენ აგურის განუწყვეტელ გამოწვაზე. ამისათვის აქ საჭიროა ნედლი აგურის ხელოვნური საშრობის მოწყობა, რაშიც ქარხანას ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ შამპანური ღვინოების კომბინატის ხელმძღვანელებმა.

**ს. მუმლაძე.**

### ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘ

კავკასიონის მთაგრეხილის ფერდობებზე მდინარე ცხენისწყლის ხეობაში მარადმწვანე წიწვიანი ტყით შემოსილ გორაკებზე გაშლილა ქვემო სვანეთი. მისი ტერიტორია, რომელიც 1.500 კვადრატულ კილომეტრს აღემატება, უაღრესად მდიდარია ალპური საძოვრებით, სამრეწველო მნიშვნელობის ტყეებით, „თეთრი ნახშირითა“ და მთამადნეულით.

მდინარე ცხენისწყალი ფასის მთიდან ორ ნაკადად მოედინება. ერთ ნაკადს, რომელიც სოფელ ცანას ჩამოუვლის — „ცანისწყალს“ უწოდებენ, ხოლო მეორე ნაკადს კი, რომელიც ლაფურის მთებს შუაზე ჰყოფს — „ხიდრულას“ ეძახიან. ეს ორი აქაფებული, გიჟი მდინარე შეცდის ჭალაში ერთმანეთს უერთდება.

ცხენისწყლისა და ლასკადურას ხეობებს შუა მდებარეობს ქვემო სვანეთის რაიონის 25 კოლმეურნეობა და რაიონული ცენტრი ლენტეხი.

სვანეთის მშვენებას და სიამაყეს წარმოადგენს სოფელი უშგული, რომელიც მდინარე ენგურის სათავესთან, შხარის მწვერვალის ქვეშ ალპურ ზონაშია გაშენებული. იგი რაიონულ ცენტრს 95 კილომეტრით არის დაშორებული, ზღვის დონიდან 2.200 მეტრამდე სიმაღლეზე მდებარეობს. უშგული ისტორიული სოფელიც არის. სოფლის მთელ ტერიტორიაზე აღმართულია მტრის ურდოების შემოსევის დროს თავდასაცავი მრავალსართულიანი ციხე-კოშკები. როგორც ძველები გადმოგვცემენ, 500 კომლი ყოფილა წინათ ამ სოფელში, მაგრამ სისხლის აღებას ეს რიცხვი 70 კომლამდე (445 სულამდე) დაუყვანია.

საკოლმეურნეო ცხოვრებამ მთლიანად შეცვალა უშგულის სახე. უშგულელმა კოლმეურნეებმა ორსართულიანი კეთილმოწყობილი სახლები დაიდგეს. ყველა უშგულელი წერაკითხვის მცოდნე გახდა. სოფლის სისხლსავსე ცხოვრებას ემსახურება 8-წლიანი სკოლა, რადიოკვანძი, კლუბ-სამკითხველო, ბიბლიოთეკა, საექიმო პუნქტი და სხვა დაწესებულებები. ბევრი უშგულელი სწავლობს ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში.

საკოლმეურნეო ცხოვრების ფერხულში ჩაბმულია 156 უშგულელი, რომლებიც 12 ათას ჰექტარ მიწის ფართობს ამუშავებენ და ახალ, შეძლებულ ცხოვრებას აშენებენ. საკოლმეურნეო შრომამ აღზარდა მოწინავე ადამიანები — ს. ნიჟარაძე, დ. კაკრიაშვილი, გ. ნიჟარაძე, ა. რატიანი, ტ. ჭელიძე და სხვები, რომლებიც მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითებს იძლევიან.

წინათ უშგულში მეცხოველეობის გარდა მხოლოდ კარტოფილისა და ქვავის მოყვანას მისდევდნენ. ახლა აქაურ კოლმეურნეებს ხორბალი და ქერიც მოჰყავთ. 1952 წელს ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 9 ცენტნერის ნაცვლად 20 ცენტნერი ხორბალი მოიყვანეს, ხოლო თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.040 ლიტრი რძე მიიღეს. წელს უკეთეს შედეგს მოელიან.

გიორგი ნიჟარაძე პირველი ბრიგადის წევრია. იგი უკვე 88 წლისაა. ბევრი გაჭირვებისა და ტანჯვის მომსწრეა წარსულში, მაგრამ დღეს შრომაში ახალგაზრდებს ეჯიბრება. გასულ წელს 300 შრომადღე გამოიმუშავა, დაუხმარებლად 14 ტონა თივა გათიბა და საკოლმეურნეო ფერმებში მიიტანა. 80 წლის მოხუცს სიმონ ნიჟარაძეს ვაჟკაცებივით უდგას გვერდში სამი ქალიშვილი. სიმონმა ქალიშვილებთან ერთად 1.000 შრომადღე გამოიმუშავა და სამი ტონა მარცვლეული, 7 ტონა კარტოფილი და 5.000 მანეთი ფული მიიღო. თავდადებით მუშაობენ კოლმეურნეობაში სარდიონ ნიჟარაძე, დავით კაკრიაშვილი, 65 წლის მოხუცი ალათი რატიანი, ბაჯუ კაკრიაშვილი, მათე ნიჟარაძე, ალექსანდრე ნიჟარაძე და სხვები.

— შარშან 290 ცენტნერი კარტოფილი მივიღეთ ჰექტარზე, წელს კი 300 ცენტნერს ავიღებთ, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლავრენტი ნიჟარაძე.

კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის დაუღალავად შრომობენ: 11 კომუნისტი პარტორგანიზაციის მდივნის ტერენტი ჭელიძის ხელმძღვანელობით, 22 კომკავშირელი, სოფლის საბჭოს დეპუტატები და სოფლის მთელი აქტივი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის კონსტანტინე ჩარქსელიანის მეთაურობით. უშგულის — ოდესღაც ამ მივარდნილი სოფლის მაგალითი ნათლად მოწმობს, თუ რა სიკეთე მოუტანა საკოლმეურნეო ცხოვრებამ სვანეთს.

ქვემო სვანეთის აყვავება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან დაიწყო. ჩამორჩენილი, მაღალმთიანი ლენტეხის რაიონი რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე კუთხედ გადაიქცა.

მიუხედავად წიაღისეული სიმდიდრისა და სამრეწველო მნიშვნელობის ტყის დიდი მასივებისა, წინათ ქვემო სვანეთს მრეწველობა არ ჰქონდა. ამჟამად რაიონი ამაყობს ისეთი საწარმოებით, როგორიცაა არის ცანის სამთომეტალურგიული კომბინატი, ფერადი მარმარილოს ტყიბის კარიერები, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, ცანის, ჩიხარეშის, სასაშის, ჩოლურისა და ლენტეხის ჰიდროელექტროსადგურები. ხე-ტყის დამზადება-დაცურებას ხომ აქ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ძირფესვიანად გარდაიქმნა ქვემო სვანეთის სოფლის მეურნეობა. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებასთან ერთად განუხრელად იზრდება საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა კეთილდღეობა და კულტურა. სოფელ ბავარის კოლმეურნეობაში გასულ წელს 5,5 კილოგრამი მარცვლეული განაწილდა შრომადღეზე, ჩუკულის კოლმეურნეობაში — 6 კილოგრამი, მუწდის ბუდიონის სახელობის და ჭველიერის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობებში—7 კილოგრამი. სვანი კოლმეურნეები მტკიცედ დაადგნენ შეძლებული ცხოვრების გზას.

თავისუფალმა საკოლმეურნეო შრომამ აღზარდა ახალი ადამიანები, რომლებიც თავდადებით მუშაობენ და ამასთან გაბედულად ნერგავენ მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში საბჭოთა მოწინავე აგრობიოლოგიური და ზოოვეტერინარული მეცნიერების მიღწევებს.

რაიონის დაბალი ზონის კოლმეურნეობებში ინერგება ვაზის კულტურა. გარდა ცანისა და უშგულის კოლმეურნეობებისა, რომლებიც ალპურ ზონაში მდებარეობენ, ყველგან ფართოდ შენდება მიჩურინული ჯიშის ხეხილი, ბოსტნეული კულტურები.

ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა გასულ წელს რაიონმა 108 პროცენტით შეასრულა, მათ შორის ძროხისა — 100,2 პროცენტით, თხისა — 100, ღორისა — 120, ცხენისა — 108 და ფრინველისა — 100,7 პროცენტით. 23 კოლმეურნეობაში შექმნილია 4 სახის საქონლის ფერმები. მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობაც. ამ მხრივ განსაკუთრებულ მაღალ მაჩვენებელს მიაღწიეს უშგულის ლენინის სახელობის, ცანის ანდრეევისა და ხაჩეშის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებმა. აქ ძროხის წველადობის წლიური გეგმა ვადაზე სამი თვით ადრე 115-120 პროცენტით შეასრულეს. აშენებულია ახალი სადგომები მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, თხების ფარეხები, საღორეები და მრავალი საფრინველე.

რევოლუციამდე ქვემო სვანეთში არცერთი კულტურული დაწესებულება არ არსებობდა. ამჟამად რაიონის მშრომელებს მომსახურებას უწევს 9 სასოფლო კლუბი, 6 სამკითხველო, 5 ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, 2 კინოთეატრი. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წიგნის ფონდი 40 ათას ცალს აღემატება. რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობა რადიოფიცირებულია.

მენშევიკების ბატონობის წლებში ქვემო სვანეთში მხოლოდ სამი დაწყებითი სკოლა არსებობდა სამი მასწავლებლით და 40 მოსწავლით. მოსახლეობის 95 პროცენტზე მეტი წერაკითხვის უცოდინარი იყო. ამჟამად რაიონში 24 დაწყებითი, 6 რვაწლიანი, სამი საშუალო და რვა სოფლის ახალგაზრდობის სკოლაა 3.200 მოსწავლით, რომელთა აღზრდას 188 მასწავლებელი ემსახურება. სვანი ახალგაზრდები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქვემო სვანეთში არცერთი სამკურნალო დაწესებულება არ არსებობდა. მშრომელთა ჯანმრთელობის ბედი ექიმბაშებისა და მკითხავების ანაბარად იყო მიტოვებული. სიკვდილიანობა სჭარბობდა შობადობის პროცენტს. ამჟამად ქვემო სვანეთის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 4 საავადმყოფო, 6 სასოფლო საექიმო უბანი, ამდენივე საფერშლოსამეანო პუნქტი, რაიონული ამბულატორია, რენტგენის კაბინეტი, სამალარიო სადგური, დედათა და ბავშვთა კონსულტაცია, გინეკოლოგიური, კანისა და ვენერული კაბინეტები, სამი აფთიაქი და აგარაკი მუაში.

რაიონის სამედიცინო დაწესებულებათა კადრების 80 პროცენტზე მეტს სვანები შეადგენენ. სვანი მშრომელები ბნელი ჭვარტლიანი ქოხმახების ნაცვლად, ამჟამად ორსართულიან კეთილმოწყობილ სახლებში ცხოვრობენ.

* * *

იზრდება და სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება რაიონის ცენტრი ლენტეხი. იგი გაჩირაღდნებულია ილიჩის ნათურებით. ლენტეხს ამშვენებს საავადმყოფოს ახალი ორსართულიანი შენობა, საშუალო სკოლა, ელექტროსადგური, კულტურის სახლი, კინოთეატრი, ადმინისტრაციული კორპუსი, კომკავშირის რაიკომის ორსართულიანი კაპიტალური შენობა, კეთილმოწყობილი სასადილო, სახანძრო დეპო, საცხოვრებელი სახლები, წყალსადენი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მდინარე ლასკადურას ხეობიდან მინერალური წყლის გამოყვანა.

კეთილმოწყობილი სოფლებია ჩიხარეში, ჯახუნდერი, სასაში, ლეუშერი, ჭველიერი და სხვ.

სვანეთი მტკიცედ მიდის წინ, ახალი ცხოვრების გზით.

**ნ. კილასონია,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს მე-18 სესიამ

ჟენევა, 6 აგვისტო. (საკდესი). დღეს ჟენევაში დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს მე-18 სესია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ ორგანიზაციათა საერთაშორისო კონფერენციების 1955 წლის მუშაობის პროგრამის მიღების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კუკმა გააკეთა მოკლე საბოლოო განცხადება.

მან კმაყოფილებით აღნიშნა, კერძოდ, რომ საბჭომ საკმაოდ დიდი მუშაობა შეასრულა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების და, კერძოდ, საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და ამ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების საქმეში. მან აგრეთვე აღნიშნა, როგორც საბჭოს მუშაობაში წინ გადადგმული ნაბიჯი, რუმინეთის მიღება გაერთიანებული ერების კულტურულ და ჰუმანიტარულ საკითხთა ორგანიზაციის წევრად.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა პ. ნ. კუმიკინმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საბჭოს მე-18 სესიამ გარკვეული დადებითი შედეგები მოიპოვა.

უეჭველია, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ სესიის მუშაობა მიმდინარეობდა პირობებში, როცა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირმა მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომლებსაც სამართლიანად აფასებენ როგორც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე წინ გადადგმულ დიდ ნაბიჯს, როგორც მშვიდობის ძალების გამარჯვებას.

საბჭოს ახლანდელი სესია, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, მთავარ ყურადღებას დამსახურებულად აქცევდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობა, საერთაშორისო ვაჭრობაში სიძნელეთა აღმოფხვრა და საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის განვითარების საშუალებანი, ნედლეული საქონლის ვაჭრობის მუდმივი საკონსულტაციო კომისიის საკითხები და მთელი რიგი სხვა საკითხები.

საბჭოთა დელეგაცია თავის კმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ სესიის დღის წესრიგის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მიღებულ იქნა ერთსულოვანი გადაწყვეტილებანი, რაც წარმოადგენს საბჭოს წევრთა უმრავლესობის თანამშრომლობის სულისკვეთებასა და მისწრაფებას კონსტრუქციულად მიუდგნენ საკითხების გადაჭრას. საბჭოთა დელეგაცია, თავის მხრივ, მთელი სესიის განმავლობაში უცვლელად იჩენდა მისწრაფებას თანამშრომლობისადმი.

თავისი სიტყვის დასასრულს სსრ კავშირის წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ საბჭოს საქმიანობა კვლავაც განვითარდება მის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრაში თანამშრომლობისა და კონსტრუქციული მიდგომის სულისკვეთებით.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ნოვაკმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების ერთსულოვანმა გადაჭრამ საბჭოს მიმდინარე სესიაზე ცხადყო, რომ არ არის ისეთი საერთაშორისო პრობლემები, რომელთა გადაჭრა არ შეიძლებოდეს მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით.

ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ საბჭოს სესია პირველად დამთავრდა განსახილველი საკითხებისადმი საქმიანი და კონსტრუქციული მიდგომის ესოდენ მაღალ დონეზე.

## ერენბურგის პროტესტი ჩილის ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ

ბუენოს-აირესი, 7 აგვისტო. (საკდესი). ჩილიდან ტელეფონით მიღებული ცნობის თანახმად, საბჭოთა მწერალი ი. გ. ერენბურგი დაბეჯითებით მოითხოვს ჩილის ხელისუფალთაგან ახსნა-განმარტებას მისდამი ალმაშფოთებელი მოპყრობის გამო, აგრეთვე მოითხოვს დაუბრუნონ მას პოლიციის მიერ ჩამორთმეული დოკუმენტები პაბლო ნერუდას მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიით დაჯილდოების შესახებ.

ჩილის პოლიციის გამოძიების საქმეთა დირექტორმა ლუის მონხემ ჩილის შინაგან საქმეთა მინისტრს პარას აცნობა რომ ი. გ. ერენბურგს დაუბრუნეს ყველა დოკუმენტი, გარდა დიპლომისა პაბლო ნერუდას დაჯილდოების შესახებ, რომელიც არ დაუბრუნებიათ იმიტომ, რომ „ჯერ კიდევ არ გადაუთარგმნიათ ესპანურ ენაზე".

## ხიროსიმას მცხოვრებნი მოითხოვენ ატომური იარაღის აკრძალვას

შანხაი, 6 აგვისტო. (საკდესი). კიოდო ცუსინის სააგენტოს ცნობით, დღეს შეერთებული შტატების მიერ ხიროსიმას ატომური დაბომბვის მე-9 წლისთავთან დაკავშირებით, ქალაქში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელსაც ათეულ ათასობით კაცი დაესწრო. მიტინგის მონაწილეებმა მსოფლიოს ხალხებს მიმართეს დეკლარაციით, რომელშიც ნათქვამია, რომ ხიროსიმას მოსახლეობა, რომელმაც პირველმა განიცადა თავის თავზე ატომური ომის საშინელება, უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის და მოუწოდებს მთელ კაცობრიობას მიაღწიოს ატომური იარაღის აკრძალვას.

უდიდესი ბურჟუაზიული გაზეთი „ასახი" დიდ სახელმწიფოებს მოუწოდებს იკისრონ ვალდებულება არ იხმარონ ატომური და წყალბადის ბომბები.

## ამერიკის ატომური ბომბდამშენის კატასტროფა

ლონდონი, 6 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს ფეირფორდის (გლოსტერშირის საგრაფო) ავიაბაზაში აფრენისას კატასტროფა განიცადა ამერიკის ატომურმა ბომბდამშენმა „B-47". თვითმფრინავი დაიწვა, და მთელი მისი ეკიპაჟი, რომელიც 4 კაცისაგან შედგებოდა, დაიღუპა.

ეს „B-47" ტიპის თვითმფრინავების მეორე კატასტროფაა ამ რაიონში.

პირველი კატასტროფა 20 ივლისს მოხდა.

# დასავლეთის ქვეყნების პრესა საბჭოთა მთავრობის განცხადების შესახებ

პარიზი, 6 აგვისტო. (საკდესი). პარიზის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნა ცნობები საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობის განცხადების შესახებ, რომლითაც იგი წინადადებას იძლევა აგვისტოში ან სექტემბერში მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხებზე თათბირის მოსამზადებლად. გაზეთებმა გამოაქვეყნეს საბჭოთა განცხადების დაწვრილებითი შინაარსი.

პრესა ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის ამ განცხადების მნიშვნელობას და მიაჩნია, რომ მან მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს უახლოეს ხანში საერთაშორისო ვითარების გამორკვევაში.

გაზეთი „ლიბერასიონი" აღნიშნავს, რომ სსრ კავშირი „წინადადებას აძლევს პარიზს, ლონდონსა და ვაშინგტონს აგვისტოში ან სექტემბერში მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი კოლექტიური უშიშროების უზრუნველსაყოფად სრულიად ევროპის თათბირის მომზადებისათვის და გერმანიის პრობლემის განხილვისათვის".

ეხება რა ფრანს პრესის სააგენტოს ცნობას, რომ საბჭოთა მთავრობის ახალ წინადადებას სამი სახელმწიფოს ექსპერტები ლონდონში განიხილავენ საბჭოთა კავშირის წინა ნოტაზე პასუხის მომზადებასთან ერთად, „ლიბერასიონი" წერს: „ჩვენ ეს ცნობა ვერ დაგვაკმაყოფილებს. და მართლაც, დღეს საფრანგეთისათვის საქმე როდი ეხება ტექნიკურ პრობლემებს, რომლების გადაჭრაც ექსპერტებს შეუძლიათ. ლაპარაკია ფუნდამენტალური პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მომავალს".

„ევროპაში ცივი ომის გაძლიერება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ძალაში შესვლისა და გერმანიის შეიარაღების საშუალებით, — წერს „ლიბერასიონი", — საფრანგეთის ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა, მით უმეტეს, რომ არსებობს სრული შესაძლებლობა გერმანიის პრობლემა და ევროპის ქვეყნების კოლექტიური უშიშროების პრობლემა მოლაპარაკების გზით მოწესრიგდეს.

საბჭოთა მთავრობამ კვლავ მეგობრულად მისცა წინადადება საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი აგვისტოში ან სექტემბერში ასეთი მოლაპარაკების მოსამზადებლად. ამის შემდეგ როგორ შეუძლია მთავრობას, რომელიც მართლაც ესწრაფვის მშვიდობას, უარყოს ასეთი წინადადება, რომელიც ხალხთა ინტერესებს შეესაბამება".

გაზეთი „ოროირი" იუწყება: „დასავლეთის სამი დედაქალაქის დიპლომატიურ წრეებში დიდ თავშეკავებას იჩენენ მეორე ნოტის გამო, რომლის შესახებაც აღნიშნეს მხოლოდ, რომ იქ დაზუსტებული არ არის იმ ქალაქის სახელი, სადაც თათბირი უნდა გაიმართოს".

„ფიგარო" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უკანასკნელ საბჭოთა ნოტას შეისწავლიან სამი სახელმწიფოს „ექსპერტები" ლონდონში სსრ კავშირის წინანდელ ნოტაზე პასუხის მომზადებასთან ერთად.

ლონდონი, 6 აგვისტო. (საკდესი). ბევრმა ინგლისურმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილზე მოათავსა ცნობა საბჭოთა მთავრობის ახალი ნოტის შესახებ. ყველა ცნობაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ნოტა მოულოდნელი იყო და დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს გადაეცა წინანდელ ნოტაზე მათი პასუხის მიღებამდე, სწორედ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ ამ პასუხის განხილვის წინ. გაზეთების დიპლომატიური და პოლიტიკური მიმომხილველები მოკლე ცნობებში ნოტის შესახებ თავს იკავებენ არსებითი კომენტარებისაგან.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ გაზეთს არ გამოუქვეყნებია ნოტის სრული ტექსტი ან რამდენადმე ამომწურავი მისი შინაარსი.

პროვინციული გაზეთი „იორკშირ პოსტი" კომენტარს უკეთებს საბჭოთა მთავრობის განცხადებას და წერს, რომ „დასავლეთის სახელმწიფოებისათვის, რაგინდ სკეპტიკურადაც უნდა იყონ ისინი განწყობილნი, სულ უფრო ძნელი იქნება მოსკოვის წინადადებათა უგულებელყოფა".

„დასავლეთის ამოცანა, — განაგრძობს გაზეთი, — ახლა ისე ადვილი როდი იქნება, როცა მოლოტოვმა შემოიტანა კონკრეტული წინადადება მოეწყოს თათბირი, რომელიც თუნდაც დასაწყისისათვის შეზღუდული იყოს დიდი ოთხეულის მონაწილეობით". ბევრი პროვინციული ინგლისური გაზეთი საბჭოთა ნოტას უკმაყოფილებით შეხვდა.

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. (საკდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ახალი საბჭოთა ნოტა გადაეცა სახელმწიფო მდივანს დალესს, და აღნიშნავს, რომ „ვაშინგტონის დამოკიდებულება ევროპის უშიშროების საკითხზე თათბირის მოწვევისადმი არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც მოსკოვმა თავისი წინადადება წამოაყენა ამ ორ კვირაზე ნაკლები ხნის წინათ. როგორც მაშინ, ისე ახლაც ეს პოზიცია გამოიხატება სიტყვებით: „დაინტერესებული არა ვართ..."

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი სკალი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ახალი ნოტა „მოულოდნელი ნაბიჯი" იყო. ამერიკის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებმა, დასძენს სკალი, დაუყოვნებლივ და ნაჩქარევად მიაკრეს საბჭოთა წინადადებას იარლიყი: მანევრია...

რომი, 6 აგვისტო. (საკდესი). იტალიის საზოგადოებრივი აზრის დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა მთავრობის განცხადებამ კოლექტიური უშიშროების საკითხზე სრულიად ევროპის თათბირის მომზადების მიზნით ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევის შესახებ.

გაზეთი „უნიტა" წერს, რომ საბჭოთა მთავრობის განცხადება გაჭიანურების მეთოდს, რაც ნოტების დაუსრულებელ გაცვლაში მდგომარეობს და რომლის გამოყენებასაც დასავლეთის სახელმწიფოები მიმართავენ, უპირდაპირებს მეთოდს, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა ჟენევაში, ესე იგი თათბირის მაგიდის გარშემო უშუალო მოლაპარაკების მეთოდს.

## ინდოჩინეთში დაზავების საკონტროლო საერთაშორისო კომისიის კომუნიკე

დელი, 7 აგვისტო. (საკდესი). დელის რადიოს ცნობით, გუშინ, ინდოჩინეთში დაზავების საკონტროლო საერთაშორისო კომისიის 6 დღის მუშაობის შემდეგ, გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ჩამოყალიბებულია კომისიის მუშაობის პრინციპები ინდოჩინეთის სამივე სახელმწიფოსათვის. 7 აგვისტოს ხანოიში, ვიენტიანსა და პნომ-პენში მიემგზავრება სამი სახელმწიფოს — ინდოეთის, კანადისა და პოლონეთის წარმომადგენელთა მეწინავე ჯგუფი, რათა მოამზადოს პირობები ინდოჩინეთში მომავალი სამი კომისიის მუშაობისათვის.

ვიეტნამში, კამბოჯასა და ლაოსში დაზავების საკონტროლო კომისიები შეიქმნება არაუგვიანეს 11 აგვისტოსი. კომისიების ადგილსამყოფელია ვიენტიანი, პნომ-პენი და ხანოი.

შემდეგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთის, ლაოსისა და კამბოჯის დელეგატებმა თავიანთი მხარდაჭერა და თანამშრომლობა აღუთქვეს დაზავების საკონტროლო-საერთაშორისო კომისიას.

დასასრულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო კომისიაში სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირი მიმდინარეობდა გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში და რომ ყველა გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

## საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 6 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაიმართა საფრანგეთის ეროვნული კრების საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირი. თათბირს დაესწრო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მენდეს-ფრანსი, რომელმაც განაცხადა, რომ აპირებს დააყენოს ნდობის საკითხი იმ ფინანსურ-ეკონომიურ პროექტთან დაკავშირებით, რომელსაც ამჟამად ეროვნული კრება განიხილავს.

საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირმა გადაწყვიტა 24 აგვისტოს დაიწყოს კამათი „ევროპის თავდაცვითი გაერთიანებისა" და მთლიანად ევროპის პრობლემებზე.

როგორც ფრანს პრესის სააგენტომ გადასცა, კამათს საფუძვლად უნდა დაედოს ჟიულ მოკის მოხსენება, რომელიც საგარეო საქმეთა კომისიამ მოიწონა. როგორც ცნობილია, ამ მოხსენებით გამოთქმულია უარყოფითი დამოკიდებულება „ევროპის არმიის" შექმნის შესახებ ხელშეკრულებისადმი.

საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირის გადაწყვეტილებანი ეროვნულმა კრებამ უნდა დაამტკიცოს.

პარიზი, 7 აგვისტო. (საკდესი). ეროვნული კრების გუშინდელმა სხდომამ 514 ხმით 100 ხმის წინააღმდეგ მოიწონა ეროვნული კრების დღის წესრიგი აგვისტოს დამლევამდე, რომელიც წარადგინა პარლამენტის ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირმა: დღის წესრიგი ითვალისწინებს, რომ 24 აგვისტოს დაიწყოს კამათი „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ.

## გვატემალის ამბები

ნიუ-იორკი 5 აგვისტო. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება გვატემალის აჯანყების ზოგიერთ დაწვრილებით ამბავს. ამ დღეებში არმასის ხროვამ დააპატიმრა რეგულარული არმიის აჯანყებული ნაწილების შვიდი ხელმძღვანელი, მათ შორის ყოფილი ელჩი კუბაზე გარსია მონტენეგრო, კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი პოლკოვნიკი ფუენტეს ხირონი, შეიარაღებული ძალების ყოფილი მინისტრი კასერესი, სამხედრო დაზვერვის ყოფილი უფროსი გორდილიო, „აურორას" ბაზის ყოფილი მეთაურები პოლკოვნიკები სამაიოა და სოსა და მაიორი სანჩესი.

მიმართა რა უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს, არმასმა განაცხადა, რომ აჯანყებულები მოითხოვდნენ მთავრობის რეორგანიზაციას, რაც, მისი სიტყვით, არბენსის მომხრეთა დაბრუნების მომასწავებელი იქნებოდა. არმასის განცხადებიდან ჩანს რომ მან სპეციალურად გამოუძახა სასახლეში „მოსალაპარაკებლად" უკმაყოფილო ნაწილების ხელმძღვანელებს და შემდეგ, როცა მათ უარი თქვეს უკან წაეღოთ თავიანთი მოთხოვნები, დააპატიმრა ისინი.

ნიუ-იორკი, 6 აგვისტო. (საკდესი). გვატემალიდან მიღებულ კორესპონდენციაში გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" აცხადებს, რომ, მეთვალყურეთა აზრით, იმ ძალებს, რომლებიც ემხრობოდნენ არმასის მოწინააღმდეგეთა უკანასკნელ შეიარაღებულ გამოსვლას, „შეუძლიათ ადვილად გამოიწვიონ ახალი აფეთქება".

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი გვატემალიდან იუწყება, რომ იქ ახალ შეტაკებებს მოელიან რეგულარულ არმიასა და იმ ძალებს შორის, რომლებმაც არბენსის მთავრობა დაამხეს, „ავტორიტეტულ წრეებში, — შენიშნავს კორესპონდენტი, — ეს შიში ფართოდ არის გავრცელებული და როგორც ჩანს, საკმაო საფუძველი აქვს".

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო მაიამიდან იუწყება, ამერიკის ელჩმა გვატემალაში პერიფუამ გაზეთ „მაიამი ჰერალდისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამასწინანდელ შეტაკებებს, რომლებიც დაკავშირებული იყო გვატემალის სამხედრო აკადემიის კადეტთა გამოსვლასთან (არმასის რეჟიმის წინააღმდეგ. — რედ.), გაცილებით უფრო სერიოზული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ფიქრობენ.

სააგენტო დასძენს, რომ პერიფუა ვაშინგტონს გაემგზავრა კონსულტაციისათვის.

პარიზი, 6 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ ხუნტამ, რომელიც ახლა სათავეში უდგას ხელისუფლებას, გვატემალაში დააარსა სამხედრო ტრიბუნალი 12 ოფიცრის გასასამართლებლად, რომლებსაც ბრალდებათ „ამბოხების წაქეზება". ბრალდებულთა შორის არის პრეზიდენტ არბენსის ყოფილი მთავრობის რამდენიმე წევრი.

## „ნდობის ახალი დადასტურება"

### გერმანიის დემოკრატიული პრესა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ

ბერლინი, 7 აგვისტო. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული გაზეთები დღეს აქვეყნებენ ცნობას საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ გააუქმოს გერმანიაში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციისა და საბჭოთა საკონტროლო კომისიის ბრძანებები, გამოცემული 1945-1953 წლების პერიოდში საკითხებზე, რომლებიც ეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას.

გაზეთმა „ტრიბუნემ" ეს ცნობა მოათავსა სათაურით: „ნდობის ახალი დადასტურება".

დემოკრატიულ გაზეთებში გამოქვეყნდა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყების ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა გერმანიაში გ. მ. პუშკინმა ინახულა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი და აცნობა მას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის აპარატი გერმანიაში კარლსჰორსტიდან გადაყვანილია სსრ კავშირის საელჩოს შენობაში უნტერ დენ ლინდენზე. ცნობაში აღნიშნულია, რომ სასამსახურო შენობები კარლსჰორსტში, აგრეთვე განთავისუფლებული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც დღემდე დაკავებული ჰქონდა გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის აპარატს, გადაეცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას.

პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა ამის გამო მადლობა გამოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით.

## პოლიციის ტერორი დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 7 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება შლეზვიგ-ჰოლშტაინის (დასავლეთი გერმანია) მხარის ხელისუფლებმა ამ ბოლო დროს მოაწყეს ჩხრეკა გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრთა და მუშაკთა ბინებზე, აგრეთვე პარტიის შენობებში. ამასთან მათ კონფისკაცია უყვეს მომავალი არჩევნების მასალებს, სასტამბო მასალებსა და დაზგებს.

გერმანიის კომუნისტური პარტიის შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარის ორგანიზაციამ მტკიცე პროტესტი განაცხადა ამ წინასაარჩევნო ტერორის წინააღმდეგ. პროტესტში, კერძოდ, ნათქვამია: „შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარის მთავრობამ ამით ცხადყო, თუ როგორ ესმის მას „თავისუფალი არჩევნები". ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში არჩევნების შედეგებით დაშინებულმა, სადაც ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა დაკარგა მილიონი ამომრჩევლის ხმა, ხოლო გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ, პირიქით, მიიღო 35 ათასი ახალი ხმა, შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარის მთავრობამ დაიწყო მოქმედება პოლიციური მეთოდებით, რათა ხელი შეუშალა ამომრჩევლებისათვის მიეღოთ თავისუფალი გადაწყვეტილება".

ბერლინი, 7 აგვისტო. (საკდესი). ადნ-ის სააგენტოს ცნობით, გუშინ ესენში დააპატიმრეს გერმანიის კომუნისტური პარტიის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის გამგეობის პირველი მდივანი იოზეფ ლედვონი. გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის სამდივნომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„ადენაუერს განზრახული აქვს ტერორისა და დაშინების გზით ებრძოლოს მისი საბედისწერო პოლიტიკის წინააღმდეგ მზარდ ოპოზიციას, მაგრამ იგი ამას ვერ შეძლებს".

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის სამდივნომ მოუწოდა ყველა მშრომელს იბრძოლონ თავიანთი უფლებების დასაცავად, ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ, იოზეფ ლედვონის განთავისუფლებისათვის.

## ინგლისის საოკუპაციო ხელისუფალნი იმუქრებიან გამოიყენონ თავიანთი ჯარები ჰამბურგის გაფიცულ მუშათა წინააღმდეგ

ბერლინი, 6 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გაზეთმა „ჰამბურგერ ეხომ" გამოაქვეყნა ჰამბურგის ინგლისელი კომისრის განცხადება, რომელშიც იგი იმუქრება გამოიყენოს ინგლისის ჯარები ჰამბურგის გაფიცულ მუშათა წინააღმდეგ.

## საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება კალათბურთში



**რამდენიმე დღეა თბილისში სტუმრად იმყოფება ქ. ლიონის სასპორტო კლუბის „ასველის" კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები კოლექტივი, რომელიც საფრანგეთში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლება. „ასველის" კლუბის კალათბურთელები არაერთხელ იყვნენ საფრანგეთის ჩემპიონები და თასის მფლობელნი, მრავალჯერ გამარჯვებული გამოსულან საერთაშორისო შეხვედრებში.**

**საფრანგეთისა და თბილისის კალათბურთელთა შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა. ეს საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გაიმართა „დინამოს" სტადიონზე 7 აგვისტოს. ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნების თავზე ფრიალებდნენ საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის და საქართველოს სახელმწიფო დროშები. წითელ ტილოებზე რუსულ, ფრანგულ და ქართულ ენაზე დაწერილი იყო სიტყვები — გაუმარჯოს ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობას!**

**18 საათი და 45 წუთია. მოედანზე მწყობრად გამოდიან საფრანგეთისა და თბილისის კალათბურთელები. მაყურებლები სპორტსმენებს ერთსულოვანი ტაშით აჯილდოვებენ. სტუმრებს მრავალი თაიგული უძღვნეს.**

**ფრანგ კალათბურთელებს მიესალმა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. რცხილაძე. საპასუხო სიტყვით გამოვიდა საფრანგეთის სპორტული დელეგაციის უფროსი ბ-ნი კიუნე. ჟღერს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.**

**გუნდების კაპიტნებმა ო. ქორქიამ და ა. ბიუფერმა გაცვალეს სამახსოვრო ვიმპელები. მცირე ხნით წვრთნის შემდეგ დაიწყო თამაში.**

**დასაწყისიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა. მე-5 წუთისათვის ანგარიში იყო 9:0. ორი ბურთი ზედიზედ ჩააგდო ფრანგმა კალათბურთელმა ა. რეიმ; კარგი თამაში აჩვენა „ასველის" კლუბის მოთამაშემ ა. ბიუფერმა.**

**ანგარიში თანდათან თბილისელთა სასარგებლოდ იზრდებოდა. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა მათივე სასარგებლოდ 39:21.**



მეორე ტაიმში რამდენიმე წუთის შემდეგ თანდათანობით ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ა. კილაძე, ლ. ინწკირველი და გ. აბაშიძე შეცვალეს ახალგაზრდა კალათბურთელებმა, რომლებმაც კარგი თამაში გამოამჟღავნეს.

საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება კალათბურთში ქ. ლიონის (საფრანგეთი) სასპორტო კლუბის „ასველისა" და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 79:45.

შეჯიბრებამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. მორიგ შეხვედრას სტუმრები გამართავენ 10 აგვისტოს.

სურათებზე: ზევით — ქ. ლიონის სასპორტო კლუბის „ასველის" და თბილისის ნაკრები გუნდების კალათბურთელთა პარადი. ქვევით — ამ გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## მსოფლიო პირველობის გათამაშება საპარაშუტო სპორტში

სენტ-იანი (საფრანგეთი), 6 აგვისტო. (საკდესი). ამინდის შეცვლასთან დაკავშირებით საპარაშუტო სპორტში მსოფლიო პირველობის ჟიურიმ გადაწყვიტა გუშინ მოეწყო შეჯიბრება არა მეორე, არამედ მესამე ვარჯიშში. ამის შესაბამისად შეჯიბრების თვითეულმა მონაწილემ შეასრულა ორი გადმოხტომა 600 მეტრი სიმაღლიდან ძირდაშვების სიზუსტეზე.

ამ ვარჯიშში საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი სამი ადგილი დაიკავეს. 200 შესაძლებელში ი. ფედჩიშინმა მოაგროვა 195 ქულა, ვ. მარიუტკინმა — 187,5, პ. კოსინოვმა — 187 ქულა.

ორი დღის შეჯიბრებათა შედეგად ქულების რაოდენობით წინ არიან საბჭოთა სპორტსმენები ი. ფედჩიშინი და ვ. მარიუტკინი. მესამე ადგილზეა შაზაკი (საფრანგეთი).

## მ. ტოგონიძე — შეჯიბრების ლიდერი

ლენინგრადი. 7 აგვისტო. აქ მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოჭადრაკე გოგონათა ფინალური ასპარეზობა. დასკვნით შეხვედრებში მონაწილეობას იღებს ნახევარფინალში გამარჯვებული 12 მოჭადრაკე.

ამ შეჯიბრებაში წარმატებით იბრძვის საქართველოს ახალგაზრდა მოჭადრაკე მ. ტოგონიძე, რომელმაც 5 პარტიიდან მოიგო 3, 2 შეხვედრა დაამთავრა ყაიმით და ფინალური ასპარეზობის ლიდერია.

## საქართველოს თასის გათამაშების ფინალი

გრძელდება შეხვედრები ფეხბურთში სსრ კავშირის 1954 წლის თასის მოსაპოვებლად. ეს საინტერესო ასპარეზობა ხასიათდება დაძაბული ბრძოლით. გაიზარდა შეჯიბრებაში მონაწილე ფეხბურთელთა კოლექტივების რიცხვი.

ახლა, მთელ რიგ ოლქებსა და რესპუბლიკებში მიმდინარეობს დასკვნითი ასპარეზობა საოლქო და რესპუბლიკური თასის მოსაპოვებლად. მალე შეჯიბრებაში ჩაებმებიან „ა" და „ბ" კლასების გუნდები.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის თასის გათამაშებამ, რომელშიც 200-ზე მეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და ფოთის „ვოდნიკის" გუნდებმა.

ამ გუნდების დასკვნითი ასპარეზობა გაიმართა თბილისის „დინამოს" სტადიონზე 6 აგვისტოს. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ანგარიშით 1:0. მეორე ტაიმში მათვე „ვოდნიკის" კარში დამატებით 2 ბურთი გაიტანეს. ფინალური შეჯიბრება დამთავრდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

საქართველოს 1954 წლის თასის გათამაშებაში გამარჯვებულ გუნდს საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო — თასი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

**თბილისის „დინამოს" სტადიონი**
9 აგვისტოს
**ფეხბურთი**
შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის ოსტატთა გუნდებს შორის
„ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი)
დასაწყისი 18 ს. 30 წ.

**გამომცემლობა „კომუნისტს"**
ესაჭიროება მტვირთავი მუშები. პირობების გასაგებად მიმართეთ: ლენინის ქ. № 14, მესამე სართული, გამომცემლობა „კომუნისტის" დირექციას.

მეუღლე ალექსი, შვილები ლიდა, ქეთევან, სიძეები გრიგოლ კალანდაძე და ირაკლი კვანტრიშვილი ოჯახებით იუწყებიან **სოფიო ნიკოლოზის ასულ ფეიქრიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-VIII, 8 ს. გამოსვენება 10-VIII, 5 ს. პეტრიაშვილის ქ. № 1-ა.

საქართველოს კომპარტიის კაჰრეთის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი და კაჰრეთის რაიონის მშრომელები იუწყებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, მწერლისა და ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის **ილია (ილო) ონისიმეს-ძე მოსაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე კატო, შვილი პეტრე, რძალი ფატი, შვილიშვილები რუსუდან, ვახტანგ, გოგი კაპანაძეები, სიძეები ანდრო გიორგაძე და მიხეილ ჩაჩხიანი ოჯახებით იუწყებიან **გიორგი რომანის-ძე კაპანაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VIII სოფ. არგვეთში (ზესტაფონის რაიონი).

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან **ცუცა გამყრელიძის** გარდაცვალებას.

გორის რაიკოოპკავშირის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ალექსანდრე გიორგის-ძე ჯაჯანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VIII, ოსტროვსკის ქ. № 1 (ქ. გორი).

საქსარეწტყეკავშირის პრეზიდიუმის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **პავლე (პახვალა) მარკოზის-ძე ცომაიას** გარდაცვალებას.

საქართველოს რენტგენოლოგთა საზოგადოება იუწყება რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის **მიხეილ ნემსაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე სოფიო, შვილები ნადეჟდა, ეკატერინე და ანეტა ოჯახით იუწყებიან **მალაქია დავითის-ძე დემეტრაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VIII სოფ. შრომაში (ლაგოდეხის რაიონი).

მეუღლე შაქრო, შვილები ტასო, ქსენია, ძმა გოგა, და ნაზანა, სიძეები იოსებ, ტარიელ ოჯახებით იუწყებიან **ვარა ალექსანდრეს ასულ ჯოტაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VIII სოფ. ბოდბისხევში (სიღნაღის რაიონი).

მე-13 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **ნიკოლოზ პეტრეს-ძე იაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ელენე, შვილები ლუბა, ნინო, სიძეები ვანო ჭკუასელი, ვალოდია გელაშვილი, შვილიშვილები ნუგზარ, ზურაბ, არმაზ, ნაირა, გელა იუწყებიან **გიორგი სარდიონის-ძე ნოზაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-VIII, 4 ს. მე-2 საპროექტოს ქ. № 1.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოს — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებების: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტისა და პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-42, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 04069 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.